პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (9845) | კვირა, 21 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

მარცვლეული მეურნეობის მძლავრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი ფართობების სწორად გამოყენებას და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან

ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს მშვიდობიანი მშენებლობისა და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე, როცა კომუნისტური პარტია მმართველი პარტია გახდა, სამეურნეო მშენებლობის საკითხები მისი საშინაო პოლიტიკის ცენტრში დგას. პარტიას მუდამ ახსოვს ჩვენი გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითება სსრ კავშირში სამეურნეო მშენებლობის უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ.

ჯერ კიდევ 1921 წელს, როცა ჩვენი ხალხი ამთავრებდა ბრძოლას ინტერვენტების წინააღმდეგ და იწყებდა მშვიდობიან მშენებლობას, ლენინი ამბობდა, რომ ახლა საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე მთავარ ზემოქმედებას ჩვენ ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით. „ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე, — ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ საერთაშორისო მასშტაბით უცილობლად და საბოლოოდ მოვიგებთ. ამიტომ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“.

მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები ითქვა, მრავალმა წელმა განვლო. საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. ჩვენი წინსვლის თვითეული ნაბიჯი დიდ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო მოვლენების მსვლელობაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ ერთსულოვნად მოიწონა და მხარი დაუჭირა ყველა საბჭოთა ადამიანმა — მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ. მათ გამოიწვიეს მრავალი გამოხმაურება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს იქითაც. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით უბრალო ადამიანები ამ გადაწყვეტილებებს შეხვდნენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისათვის სიამაყის გრძნობით. მთელი მსოფლიოს მშრომელები თვალნათლივ ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირში პრაქტიკულად ეწყობა ხალხის კეთილდღეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რადგან კაპიტალიზმის გარდუვალი კანონია პროლეტარიატის გაღატაკება და გლეხობის გაჩანაგება. საბჭოთა ქვეყნის მშრომელების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება ეხმარება ყველა ქვეყნის პატიოსან ადამიანებს კიდევ უფრო სრულად დააფასონ სოციალისტური წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა წამოაყენა თანამედროვე პირობებში ყველაზე არსებითი საყოველთაო-სახალხო ამოცანა — სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე უახლოეს 2-3 წელიწადში სრულად დაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის ეროსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სასურსათო პროდუქტებზე და უზრუნველვყოთ ნედლეულით მსუბუქი და კვების მრეწველობა.

პლენუმის შემდეგ ცოტა დრო გავიდა და ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების კონკრეტულ შედეგებზე. განვლილი პერიოდი უმთავრესად იყო პერიოდი პირობებისა და წანამძღვარების შექმნისა უახლოეს მომავალში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამ მხრივ განვლილ დროში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებისადმი მიპყრობილია ყველა ჩვენი ორგანიზაციის, ყველა მუშაკის ყურადღება. ჩვენი კადრების დიდმა უმრავლესობამ შეიგნო, თუ რა გადაუდებელია დასახული ამოცანები, და ისინი სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ბრძოლას მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

პარტიამ დიდი მუშაობა გასწია, რათა განემარტა ქალაქისა და სოფლის მშრომელებისათვის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ეს კი დიდი საქმეა, რადგან ჩვენი სახელმწიფო, გვასწავლიდა ლენინი, ძლიერია მასების შეგნებულობით. მხოლოდ მაშინ გააკეთებენ მასები ყველაფერს შეგნებულად, როცა მათ ყველაფერი იციან და ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ.

პარტიამ თავისი ძირითადი ყურადღება მიაქცია იმას, რომ განემტკიცებინა მტს-ები და კოლმეურნეობები კვალიფიციური კადრებით, რომელსაც შეუძლიათ უნარიანად უხელმძღვანელონ მეურნეობას. უკანასკნელ თვეებში მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან, აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებიდან სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 23 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი. შეიძლება აღინიშნოს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუ პლენუმამდე მტს-უების დირექტორთა შემადგენლობაში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 69 პროცენტი იყო, ახლა 79 პროცენტი გახდა; უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე მთავარი ინჟინრები იყო 36 პროცენტი, ახლა 88 პროცენტია.

ამჟამად უშუალოდ კოლმეურნეობებში მუშაობს მტს-ების 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, რომლებიც აკეთებენ თავიანთ პირდაპირ საქმეს — ადიდებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას და ავითარებენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

პლენუმმა უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა — შექმნილიყო მტს-ებში მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრები, რომლებსაც უნარი ექნებათ რაც შეიძლება სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა. ამ მიზნით მტს-ების შტატებში, გარდა ზემოთ აღნიშნული სპეციალისტებისა, ჩარიცხულია დაახლოებით 1 მილიონ 250 ათასი მუდმივი მუშა, მათ შორის 870 ათასი ტრაქტორისტი, 187 ათასი სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და მათი თანაშემწეები, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების 24 ათასი მემანქანე. მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მტს-ებში დაბრუნდა დაახლოებით 50 ათასი მექანიზატორი. გარდაიქმნა ამ კადრების მომზადების სისტემა, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ტიპის მიხედვით შეიქმნა მექანიზაციის სასწავლებელთა ქსელი.

განხორციელდა და ხორციელდება დიდი მუშაობა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. 1953 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 139 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით) და, გარდა ამისა, 18 ათასი სათოხნი ტრაქტორი, 41 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 69 ათასი სატვირთო ავტომობილი, 2 მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა მანქანა-იარაღები. აქედან 1953 წლის მეოთხე კვარტალში, ესე იგი პლენუმის შემდეგ, საბჭოთა მრეწველობამ სოფლის მეურნეობას მიაწოდა დაახლოებით 42 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით) და ბევრი სხვა მანქანა.

ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობამ მოკლე ვადაში ასეთი დიდი რაოდენობით მიიღო მანქანები, მოწმობს ჩვენი სოციალისტური მეურნეობის უდიდეს შესაძლებლობებს, იმას, თუ რამდენად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ინდუსტრიული სიმძლავრე.

განსაკუთრებული კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მეტად დიდი როლი ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ჩვენი მუშათა კლასი და ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს შეხვდნენ როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა სოფლის მეურნეობისათვის კულტურული და საწარმოო დახმარების გაძლიერებასთან ერთად სოფლად გაგზავნეს ათასობით თავისი საუკეთესო ადამიანი.

სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო მტკიცდება მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა მოითხოვა, რომ პარტიული მუშაობა გარდაქმნილიყო, პარტიული ხელმძღვანელობა დაახლოებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებას. ახლა მტს-ებთან შექმნილია ინსტრუქტორთა ჯგუფები, რომლებსაც მეთაურობენ პარტიის რაიკომების მდივნები. ამ ჯგუფებმა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გასწიონ უშუალოდ მტს-ებში და მათი მომსახურების კოლმეურნეობებში.

სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ უკვე დადებითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ სამუშაოთა შესრულებაზე. 1953 წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოხნული იყო მზრალად 13 მილიონი ჰექტარით და შემოდგომის ანეული 3,5 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე მოხნული იყო 1952 წლის შემოდგომაზე. საშემოდგომო კულტურების თესვა უფრო შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდა. მტს-ებმა კოლმეურნეობებში შეასრულეს 17 პროცენტით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ვიდრე 1952 წელს.

პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანია კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება, კარგი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგების განვითარებაზე, როგორიც არის მეცხოველეობა, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. თუმცა ჯერ ცოტა დრო გავიდა და ჩვენ არა გვაქვს მონაცემები, რომ ვილაპარაკოთ დიდ გარდატეხაზე ამ დარგების განვითარებაში, მაგრამ აქ დაწყებული აღმავლობის ნიშნები არსებობს. ამას მოწმობს ასეთი ფაქტი. იმის გამო, რომ შარშან მიღწეული იყო პროდუქტიული პირუტყვის სულადობის უფრო მაღალი დონე, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გადიდეს 1954 წლისათვის ადრე დადგენილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრისა და ღორის სულადობის ზრდის გეგმა.

1953 წელს მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულების აღრიცხვა განხორციელდა 1 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით. ამან საშუალება მისცა კოლმეურნეობებს გამოზამთრების დაწყების წინ ჩაებარებინათ და მიეყიდათ სახელმწიფოსათვის გასუქების შემდეგ გაცილებით მეტი პირუტყვი, ვიდრე გასულ წლებში. ამის შედეგად კოლმეურნეობებს აღარ დასჭირებიათ შეეჩერებინათ სახელმწიფოსათვის არაპროდუქტიული და დაწუნებული პირუტყვის ჩაბარება იანვრამდე, როცა პირუტყვი სიმსუქნეს კარგავდა, ხოლო მის შენახვაზე უნაყოფოდ იხარჯებოდა საკვები და შრომა.

თუ გასულ წლებში პირუტყვის ჩაბარება და გაყიდვა წარმოებდა უმთავრესად იანვარში, გასული წლის დეკემბერსა და მიმდინარე წლის იანვარში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჩაბარებული და გაყიდულია თითქმის სამჯერ ნაკლები, ვიდრე 1953 წლის ოქტომბერში. გამოზამთრების განვლილ თვეებში ერთნახევარჯერ შემცირდა პირუტყვის სიკვდილიანობა და რამდენადმე გადიდდა მისი პროდუქტიულობა.

გასული წლებისაგან განსხვავებით 1953 წელს გადიდდა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობა. ბევრმა მეურნეობამ, რომლებსაც წინათ პირუტყვი არ ჰყოლიათ, დაიწყო ძროხების, დეკეულებისა და წვრილფეხა პირუტყვის შეძენა. ინდივიდუალურ მფლობელთა ძროხების სულადობა გაიზარდა 630 ათასით, ანუ 4 პროცენტით, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობა გადიდდა 1 მილიონ 375 ათასით, ანუ 6 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობა — 2 მილიონ 690 ათასით, ანუ 12 პროცენტით, ღორის სულადობა გადიდდა 6 მილიონ 130 ათასით, ანუ 77 პროცენტით.

1953 წელს ხორცის, რძის, მატყლის დამზადებამ და შესყიდვამ გადააჭარბა წინა წლის დამზადებათა დონეს და ამასთან ხორცის მხრივ ეს გადაჭარბება შეადგენს 13 პროცენტს. ბოსტნეულის დამზადებამაც 22 პროცენტით გადააჭარბა 1952 წლის დონეს.

შემდეგ ვილაპარაკებ დიდ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის კოლმეურნეობებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნაში პარტიის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯებიც მოწმობენ, რომ ჩვენ გვაქვს უდიდესი გამოუყენებელი რეზერვები, და თუ მთლიანად განვახორციელებთ სექტემბრის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებებს, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ბევრად დაჩქარდება.

ამას წინათ კრემლში გაიმართა ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა და რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირები, რომლებიც დაგვეხმარა განგვეზოგადებინა პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის მოწინავე გამოცდილება, გამოგვემჟღავნებინა არსებული ნაკლოვანებანი. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ეს თათბირები ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების მუშათა მასობრივი შეჯიბრების შემდგომ გაჩაღებას, რათა წარმატებით შესრულდეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ.

ჩვენ გვაქვს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ უფრო სწრაფად წამოვწიოთ სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მარცვლეულის წარმოების გადიდებას.

ნასვენი და ყამირი მიწების ათვისება მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდი რეზერვია

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მარცვლეულის წარმოების დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის განვითარებისათვის.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა საერთოდ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას პურზე.

მაგრამ მოთხოვნილება მარცვლეულზე განუწყვეტლივ იზრდება. ამან განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი უკანასკნელ წლებში, როცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, ფასების შემცირების შედეგად ბევრად გაიზარდა რეალური ხელფასი, გადიდდა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი, გაუმჯობესდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ექვსგზის შემცირების შედეგად, სახელმწიფო საცალო ფასები, 1953 წელს იმ ფასებთან შედარებით, რომლებიც მოქმედებდნენ საბარათო სისტემის გაუქმებამდე 1947 წელს, შემცირდა შემდეგი ოდენობით: პურის, მაკარონის ნაწარმისა და ბურღულის — თითქმის ერთისამად, კარტოფილისა და ბოსტნეულის — ერთისამად და უფრო მეტად, ხილისა — 2,6-ჯერ, მცენარეული ზეთისა — 1,8-ჯერ, შაქრისა — 2,3-ჯერ, ხორცის პროდუქტებისა და ერბო-კარაქისა — თითქმის ერთისამად, კვერცხისა — ერთიორად.

მოვიყვან ზოგიერთ მონაცემებს, რომლებიც მოწმობენ, თუ როგორ იზრდება ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარება, იცვლება და უმჯობესდება მისი სტრუქტურა.

მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიყიდვა 1953 წელს 1947 წელთან შედარებით გადიდდა შემდეგი ოდენობით: პურისა — 2,6-ჯერ, მათ შორის თეთრი პურისა — 6-ჯერ და უფრო მეტად. ბურღულის გაყიდვა გადიდდა 2,4-ჯერ, მაკარონის ნაწარმისა — 3,6-ჯერ. ხორცის პროდუქტების გაყიდვა გადიდდა 2,3-ჯერ, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთისა — თითქმის ერთიორად. შაქრის გაყიდვა გადიდდა 5,4-ჯერ, რძის პროდუქტების და კვერცხისა — 1,7-ჯერ, ბოსტნეულისა — 1,5-ჯერ და ხილისა — ერთი სამად და უფრო მეტად.

აგრეთვე მნიშვნელოვნად გადიდდა ომამდელ პერიოდთან შედარებით მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა.

1953 წელს მოსახლეობას მიეყიდა: ხორცი, ხორცის პროდუქტები და ერბო-კარაქი 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს, რძე და რძის პროდუქტები — თითქმის ერთიორად მეტი, მცენარეული ზეთი და სხვა საკვები ცხიმები, მაკარონის ნაწარმი და შაქარი — 2,5-ჯერ და უფრო მეტი, ხილი — ერთიორად და უფრო მეტი და ბოსტნეული 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ამრიგად, თუ წინათ საბჭოთა ადამიანები ბევრ შემთხვევაში იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ უბრალო პურის მოხმარებით, ახლა ისინი სულ უფრო მეტად მოითხოვენ მაღალი ხარისხის პურს. იზრდება მოთხოვნილება შაქარზე, ხილზე, კენკრასა და ყურძენზე. თუ წინათ მშრომელები იძულებული იყვნენ შეეზღუდათ მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარება, ახლა მათ შესაძლებლობა აქვთ და სურთ უფრო მეტი რაოდენობით მოიხმარონ ხორცი, ერბო-კარაქი, რძე, კვერცხი. ამ პროდუქტების წარმოება კი დამოკიდებულია მარცვლეული მეურნეობის განვითარების დონეზე.

ამიტომ ჩვენი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების განუწყვეტელი გადიდება. ჩვენმა ქვეყანამ ყოველწლიურად უნდა მოიყვანოს მარცვლეულის ისეთი რაოდენობა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს:

ჯერ-ერთი, მთლიანად დავაკმაყოფილოთ მთელი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება პურსა და პურის სხვა ნაწარმზე, მათ შორის საუკეთესო ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარ ნაწარმზე;

მეორე, გავადიდოთ მარცვლეულის სახელმწიფო რეზერვები, რაც საჭიროა ყოველგვარი მოულოდნელობის შემთხვევისათვის;

მესამე, სათურაქე მარცვლეულით უზრუნველვყოთ პირუტყვის მთელი სულადობა, რადგან უამისოდ შეუძლებელია მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა;

მეოთხე, სავსებით დავაკმაყოფილოთ იმ რაიონების მოთხოვნილება მარცვლეულზე, რომლებიც სპეციალიზებული არიან ტექნიკურ და სხვა არამარცვლეულ კულტურათა მოყვანაზე, რომელთა წარმოება განუწყვეტლივ უნდა ფართოვდებოდეს;

მეხუთე, გავაფართოოთ პურის ექსპორტი.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მარცვლეულის წარმოების დღემდე არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროებას. მარცვლეულის რაოდენობა, რაც კოლმეურნეობებში რჩება სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, მთლიანად ვერ დაკმაყოფილებს საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნილებებს. განსაკუთრებით იგრძნობა მარცვლეულის ნაკლებობა საკოლმეურნეო მეცხოველეობის საჭიროებისათვის.

ამასთან, სახელდობრ ახლა, როცა პარტია და მთავრობა აწყობენ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობას, რომლის დიდმნიშვნელოვანი პირობა მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობაა, საფურაქე მარცვლეულის ნაკლებობა განსაკუთრებით შეუწყნარებელია.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მუშაკების ზოგიერთი ნაწილი უკანასკნელ დრომდე ჯეროვნად არ იბრძოდა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის. თუმცა ჩვენში მარცვლეულის მეურნეობა იზრდება, მაგრამ მარცვლეულის მოსავლიანობა ბევრ რაიონში დღემდე მცირეა, მარცვლეულის საერთო მოსავალი საკმარისი არ არის. იქმნება შეუსაბამობა მარცვლეული მეურნეობის განვითარების არსებულ დონესა და პურზე ჩვენი ქვეყნის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას შორის.

ამოცანა ის არის, რომ უკვე 1954 და 1955 წლებში მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის საერთო მოსავალი, ხოლო მარცვლეულის სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა გავადიდოთ სულ ცოტა 35-40 პროცენტით 1953 წელთან შედარებით.

მარცვლეულის წარმოების ასეთი გადიდება შესაძლებლობას მოგვცემს: გავაუმჯობესოთ მშრომელთა მომარაგება, გავადიდოთ ფქვილისა და ბურღულის მოხმარების წლიური ნორმა ერთ სულ მოსახლეზე; გავაუმჯობესოთ პირუტყვის კვება; გვქონდეს საკმაო სათესლე და სადაზღვევო ფონდები. გამოვყოთ მარცვლეულის საჭირო რაოდენობა სამრეწველო გადამუშავებისათვის, სახელმწიფო რეზერვების გადიდებისათვის და ექსპორტისათვის.

მარცვლეულის წარმოების ზრდის დიდი, ათვისების მხრივ ყველაზე ხელმისაწვდომი და ყველაზე სწრაფი წყარო, ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, არის მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოება ყაზახეთის, დასავლეთ ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის და ზოგიერთი სხვა რაიონის ყამირ და ნასვენ მიწებზე.

აღმოსავლეთ რაიონებში დიდი რაოდენობით არის აუთვისებელი მიწები. მაგალითად, რუსეთის სფსრ 14 ოლქსა და ყაზახეთის სსრ 8 ოლქში ნასვენი და ყამირი მიწების, მშრალობის სათიბებისა და საძოვრების ფართობი 40 მილიონამდე ჰექტარს შეადგენს.

ათვისებისათვის ვარგისი მიწების დიდი რეზერვები აქვთ სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს. სულ ამ სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში (გარდა ჩრდილოეთი რაიონებისა და შუა აზიის რაიონებისა) 59 მილიონი ჰექტარი საერთო მიწის ფართობიდან ნათესებსა და ანეულებს უკავია 15 მილიონ ჰექტარზე ცოტა მეტი, ანუ მთელი მიწის ფართობის 26 პროცენტი. ამავე დროს საძოვრებისა და სათიბი სავარგულების ფართობები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესებისათვის, შეადგენს 33 მილიონზე მეტ ჰექტარს, ანუ მთელი მიწის ფართობის 55 პროცენტზე მეტს.

ეს მონაცემები მოწმობენ, თუ რა უდიდესი რეზერვები აქვს ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების და მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის.

ყველაზე მცირე გამოანგარიშებაც კი ცხადყოფს, რომ ყაზახეთის სსრ ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებსა და ზოგიერთ სხვა რაიონში, დასავლეთ ციმბირის, ურალის, აგრეთვე ვოლგისპირეთისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში უკვე უახლოეს 2 წელიწადში შეიძლება 13 მილიონი ჰექტარით გავაფართოოთ მარცვლეული კულტურების ნათესები. მათ შორის კოლმეურნეობებში — 8,7 მილიონი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 4,3 მილიონი ჰექტარით. უკვე 1954 წელს შეიძლება გავაფართოოთ მარცვლეული კულტურების ნათესები სულ ცოტა 2,3 მილიონი ჰექტარით.

ჩვენში ყველა შესაძლებლობაა, რომ პროექტით გათვალისწინებულ 13 მილიონ ჰექტარზე მეტით გავადი-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გაღიდების და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს

(გაგრძელება)

დოთ ნათესი ფართობი. მაგალითად: ჩკალოვის ოლქში საოლქო კომიტეტთან და საოლქო აღმასკომთან შეთანხმებით, დასახული იყო 2 წელიწადში აგვეთვისებინა 700 ათასი ჰექტარი ნასვენი და ყამირი მიწები, ხოლო საოლქო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მიიღო გადაწყვეტილება 1 მილიონი ჰექტარის ათვისების შესახებ.

ბაშკირეთის რესპუბლიკაში პროექტით დასახული იყო ორ წელიწადში აგვეთვისებინა 135 ათასი ჰექტარი, ხოლო ახლა პარტიის საოლქო კომიტეტსა და ბაშკირეთის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლად მიაჩნია ათვისების გეგმა უახლოეს ორ წელიწადში 270 ათას ჰექტარამდე აიყვანონ.

შეგვიძლია თუ არა ასეთ მოკლე ვადაში თავი გავართვათ 13 მილიონი ჰექტარი მიწის ათვისების ამოცანას? დიახ, შეგვიძლია. და კიდეც უნდა გავართვათ თავი.

საკოლმეურნეო წყობილებას უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი განვითარებისათვის.

სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეიარაღებულია პირველხარისხოვანი ტექნიკით, საბჭოთა ინდუსტრიას შეუძლია საკმაო რაოდენობით მოგვცეს ახალი მიწების ასათვისებლად ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები.

ჩვენ გვყავს მსხვილი სოციალისტური წარმოების — მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა საჭირო კადრები. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობს სპეციალისტთა და მექანიზატორთა უზარმაზარი არმია.

ამრიგად, ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება ახალი მიწების ათვისებისათვის.

რას მიიღებს ჩვენი ქვეყანა 13 მილიონი ჰექტარის ათვისების შედეგად?

თუ ვიგულისხმებთ, რომ ახლად ათვისებული მიწების თვითეულ ჰექტარზე მივიღებთ მხოლოდ 10-11 ცენტნერ მარცვალს, ეს დამატებით მოგვცემს 800-900 მილიონ ფუთ პურს, აქედან 500-600 მილიონ ფუთ სასაქონლო მარცვლეულს. ციმბირსა და ყაზახეთში, სადაც უნდა ავითვისოთ ყამირი და ნასვენი მიწები, ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მარცვლეული კულტურების მოსავალი ამ მიწებზე შეადგენს 15 და მეტ ცენტნერს ჰექტარზე.

პარტიის ზავიალოვის რაიკომის მდივანი ამხ. პივოვაროვი თავის გამოსვლაში ალტაის სამხარეო პარტიულ კონფერენციაზე ამბობდა: „1953 წელს ჩვენმა რაიონმა გაზაფხულზე მოხნულ ყამირ და ნასვენ მიწებზე დათესა დაახლოებით 5 ათასი ჰექტარი მარცვლეული და ამ ფართობზე ყველგან მივიღეთ ხორბლისა და ფეტვის ყველაზე უხვი მოსავალი. ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში გაზაფხულზე მოხნულ 300 ჰექტარ ყამირზე მივიღეთ 130 ფუთი ხორბალი ჰექტარზე. კოლმეურნეობა „ოქტომბრის გამარჯვებაში“ 120 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღეთ 22 ცენტნერი ფეტვი“.

ასეთი მაგალითი ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ. ჰექტარზე 14-15 ცენტნერი მოსავლიანობის დროს მარცვლის საერთო მოსავალი ახლად ათვისებულ ფართობზე შეადგენს 1 მილიარდ 100 მილიონ — 1 მილიარდ 200 მილიონ ფუთს, ხოლო მისი სასაქონლო ნაწილი — 800-900 მილიონ ფუთს.

მარცვლეულის წარმოება ახალ მიწებზე მთლიანად მექანიზებულ უნდა იქნას, რაც საშუალებას მოგვცემს მინდვრის ყველა სამუშაო საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ.

მარცვლეული კულტურების დასათესად ახალი მიწების ათვისება იწარმოებს როგორც არსებული მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ძალებით, ისე მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის გზით. უკვე ახლა დაწყებულია მუშაობა იმისათვის, რომ შევარჩიოთ მიწები, რომლებიც გამოსადეგია მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად, აგრეთვე მიწები არსებული საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების ძალებით მოსახნავად. ამ მუშაობის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ უწინარეს ყოვლისა შევარჩიოთ ყველაზე ნაყოფიერი და მისადგომი მიწები, რომლებიც დასახლებული პუნქტების მახლობლად მდებარეობს.

ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად კოლმეურნეობებში, ნაკვეთებზე, რომლებიც დაშორებულია დასახლებულ პუნქტებს, განზრახულია შეიქმნას მტს-ების სპეციალური სატრაქტორო რაზმები 2-4 სატრაქტორო ბრიგადის შემადგენლობით. სატრაქტორო რაზმების სათავეში უნდა იდგნენ გამოცდილი ინჟინრები ან აგრონომები.

1954 წელს ახალი მიწების ათვისების რაიონების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილ იქნება 120 ათასზე მეტი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 10 ათასი კომბაინი, საჭირო რაოდენობით გუთნები, კულტივატორები, დისკოიანი ფარცხები, სათესები და სხვა მანქანები და მოწყობილობა. გამოყოფილი იქნება დიდძალი ტექნიკა. ამოცანა ის არის, რომ ეს ტექნიკა სწორად იქნას გამოყენებული.

ტექნიკა, როგორც ცნობილია, უადამიანებოდ, უკადრებოდ მკვდარია. მაშასადამე, ახალი მიწების წარმატებით ათვისების გადამწყვეტი პირობაა კადრები. წინასწარი გამოანგარიშებით მარტო საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო იქნება მუშახელი დაახლოებით 70 ათასი კაცი, აქედან 30 ათასი ტრაქტორისტი და კომბაინერი.

მუშახელის საკითხის სირთულე იმით გამოიხატება, რომ ახალი მიწების ათვისება იწარმოებს შედარებით ნაკლებ დასახლებულ რაიონებში. ადგილზე შეგვიძლია შევარჩიოთ მხოლოდ კადრების ნაწილი. ადამიანთა ძირითადი მასა უნდა მოვიზიდოთ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის, რომლებიც ახალი მიწების ათვისებაზე მუშაობენ, შევარჩიოთ კვალიფიციური დირექტორები, მთავარი ინჟინრები და მთავარი აგრონომები, რომლებსაც აქვთ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილება და რომლებმაც დაამტკიცეს, რომ შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ მსხვილ მეურნეობებს, დაძლიონ სიძნელეები და შეასრულონ პარტიისა და მთავრობის პასუხსაგები დავალებანი.

ალბათ საჭირო იქნება ახალ საბჭოთა მეურნეობებში დავნიშნოთ საუკეთესო დირექტორები, მთავარი ინჟინრები და მთავარი აგრონომები ძველი საბჭოთა მეურნეობებიდან, ხოლო ამ უკანასკნელებში დირექტორთა თანამდებობაზე დავწინაუროთ მათი მოადგილეები, განყოფილებათა ყველაზე ნიჭიერი მმართველები და სპეციალისტები.

აღმოსავლეთის რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის ხელმძღვანელი კადრების შერჩევაში დიდი როლი უნდა შეასრულონ უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის იმ სხვა რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც მექანიზატორთა მომზადებული კადრები ჰყავთ.

საჭიროა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას მივმართოთ მოწოდებით წავიდნენ სამუშაოდ იმ რაიონების მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მიმდინარეობს ახალი მიწების ათვისება. ამ მოწოდებას უეჭველად გამოეხმაურება მრავალი მექანიზატორი და სხვა მუშაკი, რომლებსაც სურთ ნებაყოფლობით წავიდნენ მუდმივ საცხოვრებლად აღმოსავლეთის რაიონებში ახალ მიწების ათვისებისათვის.

შეგნებული აქვთ რა ახალი მიწების ათვისების დიდი მნიშვნელობა, ჩვენი ქვეყნის კომკავშირელები და ახალგაზრდობა იჩაზმებიან ამ დიდი საქმის შესრულებისათვის.

ათეულ ათასობით ახალგაზრდა პატრიოტმა ითხოვა გაგზავნონ სამუშაოდ ახალი მიწების ასათვისებლად. მოსკოვის, უკრაინის სსრ და სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების ახალგაზრდა ენთუზიასტთა პირველი ჯგუფები გაემგზავრნენ სამუშაოდ ალტაის მხარის, ყაზახეთის რაიონებში და ახალი მიწების ათვისების სხვა რაიონებში.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი საჭირო რაოდენობით გამოჰყოფს ადამიანებს ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად. ყველას ესმის, რომ ეს საყოველთაო-სახალხო საქმეა და მისი მიზანია ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ამხანაგებო! ახალი მიწების ათვისების დასახული პროგრამა გრანდიოზული საქმეა. მომავალი სამუშაოების მასშტაბისა და ჩვენი ქვეყნისათვის მათი მნიშვნელობის მიხედვით ნასვენი და ყამირი მიწების ათვისება შეიძლება გავუთანაბროთ ყველაზე დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენს ხალხს განუხორციელებია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 13 მილიონი ჰექტარი ახალი მიწების ათვისება მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა ნათესი ფართობების შემდგომი გადიდებისათვის. უახლოეს ორ წელიწადში ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რომ განვაგრძოთ ახალი, უფრო ძნელი მიწის მასივების ათვისება აღმოსავლეთში, მასივებისა, რომლებიც მოითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალურ ხარჯებს წყალმომარაგებისათვის, საგზაო მშენებლობისათვის და სხვ.

ახალი მიწების ათვისება არ უნდა განისაზღვრებოდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონებით. დიდი მასშტაბით უნდა განვახორციელოთ ფრაცელი ფართობების ათვისება მდინარეთა ნოლებში, აგრეთვე დაჭაობებული მიწების, ნაკლებპროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების ათვისება ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. ამისათვის საჭირო იქნება განვახორციელოთ სამელიორაციო სამუშაოები მიწების ამოსაშრობად, ბუჩქნარების ამოსაძირკვავად და მოსასპობად. უწინარეს ყოვლისა უნდა ავითვისოთ ის მიწები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ბრუნვას გამოაკლდა ომის პერიოდში.

ცენტრალურ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს, სადაც დიდად განვითარებულია მრეწველობა, ესაჭიროებათ დიდძალი ახალი ბოსტნეული, კარტოფილი, რძე, ხორცი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. ნოლა მიწების, ჭაობებისა და ტორფნარების ათვისების მეოხებით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცევა უნაყოფიერესი მიწები, რომლებზეც შეიძლება მოვიყვანოთ დიდძალი ბოსტნეული და სხვა კულტურები უშუალოდ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ახლოს.

უნდა ითქვას, რომ დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და ნოლების ათვისების სამუშაოები ჯერჯერობით ცუდად არის ორგანიზებული. ბევრი დრო სჭირდება პროექტების შედგენას. არსებული ტექნიკა იქსაქსება, ხოლო სპეციალური სამელიორაციო ორგანიზაციები სუსტად არიან აღჭურვილი მექანიზმებით. ამის შედეგად ჩვენ ბევრ ფულს ვხარჯავთ და ვერ ვიღებთ ჯეროვან ეფექტს. სავსებით ცხადია, რომ სამელიორაციო სამუშაოების ასე წარმოება არ შეიძლება. საჭიროა მოვაწესრიგოთ ეს საქმე, შეექმნათ სპეციალური მანქანებით და მექანიზმებით აღჭურვილი მძლავრი მექანიზებული რაზმები, რათა ტექნიკის კონცენტრირებული გამოყენების მეთოდის საშუალებით მოკლე ვადაში განვახორციელოთ სამუშაოთა მთელი კომპლექსი დიდ მასივებზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მონაწილეობით და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ლენინის სახელობის საკავშირო აკადემიის დახმარებით ვალდებული არიან შეიმუშაონ ახლად ათვისებულ მიწებზე მეურნეობის გაძღოლის სისტემა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ მიწების გამოყენების წესი, აგრეთვე აღმოსავლეთი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და შავნიადაგიანი ზოლის რაიონებში ახალი მიწების შემდგომი ათვისების ღონისძიებანი.

ნათესი ფართობების სტრუქტურა და თესლბრუნვების შემოღების დროს დაშვებული შეცდომები

ვიწყებთ რა აღმოსავლეთ და სხვა რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების უდიდესი მნიშვნელობის სამუშაოს, ჩვენ ამასთან უნდა მივიღოთ ღონისძიებანი იმ მიწების უფრო სწორად გამოყენებისათვის, რომლებსაც ამჟამად ვამუშავებთ. უნდა ვაღიაროთ, რომ ნათესი ფართობების სტრუქტურა, რომელიც ჩვენში ამ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა, ეწინააღმდეგება მარცვლეულის წარმოების გადიდების ამოცანებს.

მოვიყვან მონაცემებს, რომლებიც ცხადყოფენ არსებული ნათესი ფართობების არასწორად გამოყენებას.

1940-დან 1953 წლამდე საერთო ნათესი ფართობები გადიდდა 6,8 მილიონი ჰექტარით, მიუხედავად ამისა, მარცვლეული კულტურების ნათესები შემცირდა 3,8 მილიონი ჰექტარით.

მარცვლეული კულტურების ნათესები შემცირდა ჩვენი ქვეყნის მეტ წილ რაიონებში. ეს შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მარცვლეულის ძირითად რაიონებში. მაგალითად, უკრაინის სს რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების ნათესები შემცირდა 1,1 მილიონი ჰექტარით, ვოლგისპირეთის რაიონებში — 924 ათასი ჰექტარით. ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში — 713 ათასი ჰექტარით, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში — 309 ათასი ჰექტარით.

რატომ მოხდა ეს? შეიძლება გადიდდა ყველაზე ძვირფასი ტექნიკური, აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები? სრულიადაც არა. ამ კულტურების საერთო ნათესები უცვლელი დარჩა. სამაგიეროდ, საკვები კულტურების ფართობები გადიდდა 10,6 მილიონი ჰექტარით, მათ შორის მრავალწლიანი ბალახების სათიბი ფართობები გადიდდა 4,5 მილიონი ჰექტარით.

საკვები კულტურების ნათესების გაფართოებას უნდა მოჰყოლოდა პირუტყვის საკვების წარმოების გადიდება. სინამდვილეში საკვების წარმოება შემცირდა და პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. ეს გასაგებიც არის, რადგან საკვები კულტურების ნათესების გაფართოება მნიშვნელოვან წილად ხდებოდა მრავალწლიანი ბალახების ნათესების გადიდებით, ხოლო ეს ბალახები უკრაინის სამხრეთი რაიონების, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის, ციმბირის, სამხრეთ ურალის ბევრი რაიონისა და ყაზახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქების პირობებში იძლევიან მცირე მოსავალს ჰექტარ ნათესზე და გაცილებით ნაკლებ საკვებს, ვიდრე საფურაქე მარცვლეული კულტურების ნათესები.

1952 წელს მარცვლეულის ფაქტიურმა მოსავალმა საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში შეადგინა 10,2 ცენტნერი, ანუ 1.420 საკვები ერთეული მარცვლეული კულტურების ყოველ ჰექტარ ნათესზე. მრავალწლიანი ბალახების თივის საშუალო მოსავალმა იმავე წელს საბჭოთა მეურნეობებში შეადგინა 11 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 550 საკვები ერთეული მრავალწლიანი ბალახების ყოველ ჰექტარ ნათესზე. ამრიგად, ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები მთლიანად საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში იძლევა თითქმის 3-ჯერ ნაკლებ საკვებ ერთეულს, ვიდრე ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

იმავე წელს უკრაინის სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებმა აიღეს 19,8 ცენტნერი მარცვლეული ანუ 2.770 საკვები ერთეული მარცვლეული კულტურების ყოველ ჰექტარ ნათესზე, მრავალწლიანი ბალახების თივის მოსავალმა შეადგინა 14,3 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 740 საკვები ერთეული, ესეიგი თითქმის 4-ჯერ ნაკლები, ვიდრე მარცვლეულმა კულტურებმა ჰექტარზე. ვოლგისპირეთის საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავალმა 1952 წელს შეადგინა 8,4 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 1.176 საკვები ერთეული, ხოლო მრავალწლიანი ბალახების თივის მოსავალმა — 7,9 ცენტნერი ჰექტარზე, ანუ 395 საკვები ერთეული.

ეს მონაცემები მოწმობენ, რომ ნათესბალახიანი თესლბრუნვა ინერგება მოუფიქრებლად, უყაირათოდ, შაბლონურად, ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. ნათესბალახიანი თესლბრუნვა, როგორც ცნობილია, გულისხმობს მრავალწლიანი ბალახების ნათესის გაფართოებას, რომელთა მომდევნოდ უნდა დაითესოს საგაზაფხულო ხორბალი. ნათესბალახიანი თესლბრუნვის ყველგან შემოღებისას უგულებელყოფილი იყო ის ფაქტი, რომ სამხრეთ რაიონებში, კერძოდ უკრაინაში, საგაზაფხულო ხორბალი ბევრად ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე საშემოდგომო. უკრაინის სამხრეთ ნაწილში საშემოდგომო ხორბალს ჰექტარზე იღებენ 20 და მეტ ცენტნერს, ხოლო საგაზაფხულოს უკეთეს შემთხვევაში 10-12 ცენტნერს, ისიც ყველაზე ხელსაყრელ წლებში, ჩვეულებრივ კი იღებენ ჰექტარზე 5-6 ცენტნერს. 1949 წლიდან უკრაინაში ეს მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად გამოასწორეს საშემოდგომო ხორბლის ნათესების გადიდების გზით; მაგრამ საშემოდგომო ნათესების გაფართოება აქ უმთავრესად ხდებოდა საფურაქე მარცვლეული კულტურების შემცირების გზით და არა მრავალწლიანი ბალახების ნათესთა შემცირების გზით, რომლებიც სამხრეთში მცირე მოსავალს იძლევიან.

როგორც იცით, მრავალწლიანი ბალახების ნათესების ყველგან გაფართოებას ფარავდნენ ვილიამსის სახელით, მიწათმოქმედების მისი ნათესბალახიანი სისტემით. ზოგიერთნი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ნათესბალახიანი სისტემა გარანტიას იძლევა ყველა უბედურებისაგან და უზრუნველყოფს უხვი მოსავლის მიღებას ყველა რაიონში განურჩევლად ნიადაგისა და ჰავის პირობებისა.

ნაცვლად იმისა, რომ ვილიამსის მოძღვრება შემოქმედებითად გამოეყენებინათ, მას აქცევდნენ დოგმად, ცდილობდნენ შეეფარდებინათ სამხრეთის გვალვიანი რაიონებისათვის, გაევრცელებინათ ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ცდა უსაფუძვლო აღმოჩნდა. ამიტომ მნიშვნელოვანი შესწორებანი უნდა შევიტანოთ მთელ რიგ დებულებებში ნათესბალახიანი თესლბრუნვების შესახებ.

ვილიამსი დიდი მეცნიერია. მან შეიმუშავა მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა. მაგრამ ზოგიერთ მის მომდევნოდ ერთ სურს გაითვალისწინოს, რომ ვილიამსი ემთავრესად სწავლობდა რუსეთის შუა ზოლს, ამიტომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მისი დასკვნები გამოდგება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონისათვის და კერძოდ სამხრეთისათვის. თვითეულისათვის, ვინც ერკვევა სოფლის მეურნეობის საკითხებში, ნათელი უნდა იყოს, რომ მრავალწლიანი ბალახების თესლბრუნვის დანერგვა, აგრეთვე საგაზაფხულო ხორბლის თესვა მოხნულ, ყამირ ან ნასვენ მიწაზე ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას უკრაინის ველიან რაიონებსა და მთელ რიგ სხვა ოლქებში.

ციმბირელმა ამხანაგებმა სწორად უნდა გამიგონ. ციმბირში ხომ საგაზაფხულო ხორბალი მთავარი კულტურაა. ციმბირის, ვოლგისპირეთის რაიონებსა და ზოგიერთ სხვა რაიონში ხორბალი უხვ მოსავალს იძლევა და იგი ყოველი ღონისძიებით უნდა დავნერგოთ იქ, მაგალითად, სამყურა დატენიანებულ, არაშავნიადაგიან ზონაში თივის უხვ მოსავალს იძლევა და საუკეთესო წინამორბედია სელისათვის. ამიტომ უნდა წავახალისოთ სამყურის თესვა. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე იონჯის მოყვანას იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამ კულტურის უხვი მოსავალი მოჰყავთ.

მაშასადამე, გონივრულად უნდა გამოვიყენოთ მოძღვრება მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ, არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ საბჭოთა კავშირის ყველა რაიონში ერთი რომელიღაც სქემა.

ჩვენ პატივს ვცემდით და პატივსა ვცემთ ვილიამსსა და მის მოძღვრებას. მაგრამ ვეუბნებით მის მოწაფეებს, რომ ვილიამსი რომ ცოცხალი იყოს, დიდი ხანია საჭირო დაზუსტებას შეიტანდა თავის მოძღვრებაში მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შესახებ, გაითვალისწინებდა რა პრაქტიკას, ცხოვრების გამოცდილებას, რასაც ნაწილობრივ კიდევაც აკეთებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას არ აკეთებენ მისი მოწაფეები და მიმდევრები.

ნათქვამიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გამოვიტანოთ. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწორონ ნათესბალახიანი თესლბრუნვების შემოღების დროს დაშვებული შეცდომები. იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი ბალახები მცირე მოსავალს იძლევა, როგორც, მაგალითად, უკრაინის სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისპირეთის ველიან რაიონებში და ზოგიერთ სხვა რაიონში, უნდა შევამციროთ მრავალწლიანი ბალახების ფართობები, რაც საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ საფურაქე მარცვლეული კულტურების წარმოება. წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიძლება გავაფართოოთ მარცვლეულისა და სხვა კულტურების ნათესები დაახლოებით 4 მილიონი ჰექტარით. უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის გვალვიან რაიონებში მრავალწლიანი ბალახების ნათესის შემცირების გზით რამდენადმე უნდა გავადიდოთ საშემოდგომო ხორბლის თესვა შემოდგომის ანეულში. ანეულში საშემოდგომო ხორბლის თესვის დროს შეიძლება მივიღოთ გარანტირებული მოსავალი ჰექტარზე 20-25 ცენტნერი. ამასთანავე შემოდგომის ნათესი ანეულში კარგი წინამორბედია საშემოდგომო ხორბლის მეორე მინდვრისათვის.

ჩვენი მეცნიერები უნდა დაეხმარონ უკრაინის, ჩრდილოეთ კავკასიის ველიანი რაიონებისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმაში, რომ სწორად მოაწყონ თავიანთი მეურნეობა, რათა უზრუნველყონ პროდუქციის რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიღება ფართობის ერთეულზე. ამისათვის საჭიროა განვაზოგადოთ მოწინავე გამოცდილება აგროტექნიკაში, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ისეთი კულტურებისა და ჯიშების შერჩევას, რომლებიც ყველაზე მოსავლიანია ამ რაიონების პირობებში.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში უნდა გავაფართოოთ სიმინდის თესვა სამარცვლედ და სასილოსედ, ხოლო არაშავნიადაგიანი ზონის, ვოლგისპირეთის რაიონებში, ურალისა და ციმბირის სამხრეთ რაიონებში მოვიყვანოთ სიმინდი სასილოსედ. სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად საჭიროა შემოვიღოთ ამ კულტურის ჰიბრიდული თესლის თესვა.

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი ჰექტარზე ყველაზე დიდი რაოდენობით იძლევა მარცვალს და წვნიან საკვებს, ამ ძვირფასი კულტურის ნათესი ჩვენი ქვეყნის ბევრ სამხრეთ რაიონშიც კი დღემდე არ არის სათანადოდ გავრცელებული. მხოლოდ მოლდავეთის სს რესპუბლიკაში, ჩრდილო ოსეთის ასს რესპუბლიკაში, ყაბარდოს ასს რესპუბლიკაში, საქართველოს სს რესპუბლიკაში უკავია სიმინდს მარცვლეული კულტურების საერთო ნათესების 30-45 პროცენტი. სიმინდის ხვედრითმა წონამ მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობში 1952 წელს კრასნოდარის მხარეში შეადგინა 13 პროცენტი, სტავროპოლის მხარეში — მხოლოდ 4,9 პროცენტი, ხოლო როსტოვის ოლქში — 3,6 პროცენტი. ოდესის, დნეპროპეტროვსკის, ვოროშილოვგრადის, სტალინოს, ხარკოვის, პოლტავისა და კიროვოგრადის ოლქებში სიმინდის ნათესებმა 1952 წელს შეადგინა მარცვლეული კულტურების მთელი ნათესი ფართობის 14,5-20 პროცენტი. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ სიმინდის ნათესის ფართობი უკრაინის რესპუბლიკაში 1953 წელს შემცირდა 608 ათასი ჰექტარით 1949 წელთან შედარებით.

თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის გამოყენებით შეიძლება მოვახდინოთ სიმინდის დამუშავების მექანიზაცია, მინიმუმამდე დავიყვანოთ ხელის შრომის დანახარჯები, ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ გავაფართოოთ სიმინდის ნათესი, მოვიყვანოთ უხვი, მყარი მოსავალი ამ კულტურისა, რომელიც იძლევა კონცენტრირებული და წვნიანი საკვების ყველაზე მეტ რაოდენობას.

მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

ამხანაგებო! ახალი მიწების ათვისებისა და ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესების გზით მარცვლეული კულტურების ნათესის გადიდება საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფა მარცვლეულით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარცვლეული კულტურების ყველა ფართობზე მოსავლიანობის გადიდება კვლავ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ ცოტა პროდუქციას იღებს ფართობის თვითეულ ერთეულზე.

ყველა კოლმეურნეობას რომ ისეთი მოსავალი მოჰყავდეს, როგორიც მოწინავე კოლმეურნეობებს მოჰყავთ, ჩვენს ქვეყანას ექნებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე. მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის ყველა კოლმეურნეობას რომ ისეთი მოსავალი მოჰყავდეს, როგორიც მოჰყავს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, სადაც თავმჯდომარედ ამხ. გენერალოვი მუშაობს, მთლიანად რაიონი მიიღებდა 3-4-ჯერ მეტ კარტოფილს, 6-7-ჯერ მეტ ბოსტნეულს, ვიდრე იგი ახლა იღებს. ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება ყოველ რაიონში.

მარცვლეულის მოსავლიანობა და მისი საერთო მოსავალი რომ გავადიდოთ, უნდა გამოვიყენოთ ღონისძიებათა მოფიქრებული კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს ამა თუ იმ კულტურის მოყვანის პირობებსა და მოთხოვნებს.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ტექნიკის გამოყენება მტს-ებში. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ წელს სოფლის მეურნეობისათვის გასაგზავნი ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების ძირითადი ნაწილი გაიგზავნება ახალი მიწების ათვისების რაიონებში. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ თვითეული მანქანის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერებით გამოყენებისათვის. ახლა, როცა მტს-ებში მექანიზატორთა მუდმივი კადრები არიან, შეიძლება მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ თვითეული ტრაქტორისა და კომბაინის წარმადობის მკვეთრად გადიდებას.

რადაც უნდა დაჯდეს უნდა უზრუნველვყოთ, რომ დაწესებულ ვადებში მოეწყოს საგაზაფხულო თესვა, მოსავლის აღების და მინდვრის სხვა სამუშაოები. აქ მინდა ვილაპარაკო ისეთ ჩვეულებრივ, ყველასთვის ცნობილ ღონისძიებებსა და ხერხებზე, რომლების შესრუ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გაღიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1954 წლის 23 თებერვალს

(გაგრძელება)

ლება სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

მაგალითად, ვისთვის არ არის ნათელი მინდვრის სამუშაოთა შესრულების ვადების მნიშვნელობა? ხალხური ანდაზა ამბობს: „დღე წელიწადს კვებავსო". ეს ყველამ იცის და ამავე დროს ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საგაზაფხულო თესვა 5-7 დღის ნაცვლად 20-25 და მეტ დღეს გრძელდება, საშემოდგომო კულტურებს ჩრდილოეთ რაიონებშიც კი ოქტომბერში თესავენ, ხოლო შემდეგ უკვირთ, რატომ იღუპება საშემოდგომო კულტურების ნათესიო.

მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება მთელ რიგ რაიონებში თვენახევარს — ორ თვეს გრძელდება. მოსავლის დანაკარგის მკვეთრი შემცირება მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების დიდი რეზერვია.

ვინ არ იცის, რომ ნამჯა მინდვრებიდან უნდა გავიტანოთ მოსავლის აღებისთანავე? მიუხედავად ამისა, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნამჯის გამოზიდვის ვადებს გვიან შემოდგომამდე აჭიანურებენ, რაც იწვევს უხეში საკვების დიდ დანაკარგს და არ გვაძლევს საშუალებას დროზე მოვხნათ მზრალი.

ანდა ავიღოთ თესლის თესვის ნორმები. ცნობილია, რომ უხვი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა დავიცვათ თესლის თესვის სრული ნორმა. მაგრამ ამ დებულებას ხშირად არღვევენ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რაიკომებისა და რაიაღმასკომების წაყრუებით ძალიან ხშირად თესავენ 80-90 კილოგრამ ხორბალს 120-180 კილოგრამის ნაცვლად, ხოლო ეს მკვეთრად ამცირებს მოსავალს. კიდევ უფრო ხშირად არღვევენ კარტოფილის თესვის ნორმებს. საჭიროა, ბოლოს, შევიგნოთ, რომ თესლის თესვის ნორმის შემცირება არსებითად ნიშნავს თავის მოტყუებას, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფოს მოტყუებას. თესლის თესვის ნორმის შემცირება ნიშნავს ნათესი ფართობის შემცირებას. ნაკლები მოსავლის მიღებას.

ვინ არ იცის, რომ არ არსებობს მოსავლიანობის გადიდების უფრო ეფექტიანი და სწრაფად მოქმედი საშუალება, ვიდრე სასუქი, ამავე დროს კი ამ საქმეში ურიგდებიან აღმაშფოთებელ უყაირათობას. გამოანგარიშებულია, რომ კოლმეურნეობებს შეუძლიათ წელიწადში ჰქონდეთ დაახლოებით ნახევარი მილიარდი ტონა ნაკელი და სხვა ადგილობრივი სასუქები, რაც უდრის დაახლოებით 35 მილიონ ტონა მინერალურ .სასუქებს. ეს კი ხუთჯერ მეტია იმაზე, რასაც კოლმეურნეობები ამჟამად იღებენ მრეწველობისაგან. ამავე დროს მინდვრად ნაკელი გაავლთ ნახევარზე ნაკლები. თითქმის არ იყენებენ სასუქად ტორფს.

მინერალური სასუქები ჯერჯერობით ცოტა მზადდება. მაგრამ იმასაც კი, რაც მზადდება, ძალიან ცუდად იყენებენ. სადგურებსა და საწყობებში დიდხანს რჩება ცის ქვეშ უამრავი მინერალური სასუქი, რის გამო იგი კარგავს თავის თვისებებს. ეს შეუწყნარებელია.

და, ბოლოს, პურის წანახედის შესახებ. ძალიან ხშირად კოლმეურნეობების საშემოდგომო ნათესებში მთელი შემოდგომის განმავლობაში აძოვებენ პირუტყვსა და ფრინველს. ყველამ კარგად იცის, რომ ეს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ნათესებს, იციან და გულგრილად უცქერიან ამ აღმაშფოთებელ სურათს. ნუთუ ამ საკითხშიც საჭიროა მთავრობის მითითება?

საჭიროა დავაწესოთ კოლმეურნეობათა გამგეობებისა და ბრიგადირების უსასტიკესი პასუხისმგებლობა ნათესების დაცვისათვის, სასუქის სწორად გამოყენებისათვის, თესლის თესვის ნორმების დაცვისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დაწესებულ ვადებში განხორციელებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და ახალი მიწების ათვისების ამოცანა ჩვენს წინაშე დაისახა როგორც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საარსებო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავადიდოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით, ხოლო მსუბუქი მრეწველობისა — ნედლეულით.

საკვების, ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებისა და მებაღეობისა და მევენახეობის განვითარების შესახებ

ახალი მიწების ათვისებით და ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესებით მარცვლეულის წარმოების გადიდება საშუალებას მოგვცემს უახლოეს 2-3 წელიწადში მნიშვნელოვანი ოდენობით გავაფართოოთ საკვების, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოება.

უწინარეს ყოვლისა, შევეხები **საკვების წარმოების** საკითხებს. ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებში ბევრად გადიდდა საკვები კულტურების ფართობები. მაგრამ მათი მცირემოსავლიანობის გამო ამას არ მოჰყოლია საკვების მოსავლის გადიდება. საზოგადოებრივი პირუტყვის გადიდებული სულადობის საკვებით უზრუნველყოფა შემცირდა.

რათა მკვეთრად გავადიდოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფა საკვებით, საჭიროა გავაფართოოთ საფურაჟე მარცვლეული კულტურების — სიმინდის, შვრიის, ქერის ნათესები; ყველგან გავადიდოთ სასილოსე სიმინდისა და მზესუმზირას ნათესები; უფრო ფართოდ გამოვიყენოთ საშემოდგომო კულტურების თესვა მწვანე საკვებისათვის; გავადიდოთ სუდანურას, აგრეთვე საკვები ბაღჩეული კულტურების ნათესები სამხრეთში, ცერცველისა და შვრიის ნარევისა უფრო ტენიან და ჩრდილოეთ რაიონებში; გავაუმჯობესოთ საკვები ძირხვენების მოყვანის აგროტექნიკა; არაშავნიადაგიან ზოლში მეტი ყურადღება მივაქციოთ მრავალწლიანი ბალახების, უწინარეს ყოვლისა სამყურის მოყვანის გაუმჯობესებას.

ბევრ ოლქში დიდი ხვედრითი წონა აქვთ საკვების ბუნებრივ სავარგულებს. საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი მათი პროდუქტიულობის გადიდებას სისტემატური მოვლის, აგრეთვე სამელიორაციო ღონისძიებათა განხორციელებისა და ნათესბალახიანი უხვმოსავლიანი მდელოების შექმნის გზით.

უხვმოსავლიანი სასილოსე კულტურების — სიმინდისა და მზესუმზირას ნათესების გაფართოებასთან დაკავშირებით საჭიროა ფართო მასშტაბით მოვაწყოთ სასილოსე კოშკებისა და მოპრკეთებული ტრანშეების მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს სილოსის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას და შექმნის ზამთრის პერიოდში წველადობის გადიდების პირობებს.

კოლმეურნეობებში უნდა ჩავდოთ იმდენი სილოსი და მოვიყვანოთ იმდენი ძირხვენები, რომ წვნიანი საკვები საკმარისი იყოს საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვისაც და იმ კოლმეურნეებისათვის შრომადღეებზე მისაცემადაც, რომლებსაც პირად საკუთრებაში ჰყავთ ძროხები. ეს ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას. გადიდდება კოლმეურნეთა ძროხების პროდუქტიულობა — მეტი რძე იქნება ჩვენს ქვეყანაში.

საჭიროა გავაფართოოთ საკვები კულტურების ნათესები მწვანე საკვებისათვის და უფრო გულმოდგინედ დავნერგოთ პროდუქტიული პირუტყვის ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვა მწვანე კონვეიერის გამოყენებით.

ახლა შევეხები ტექნიკურ კულტურებს. **მებამბეობის** დარგში წარმატება ყველაზე მნიშვნელოვანია. ბამბის ნათესი ფართობი კოლმეურნეობებში სარწყავ მიწებზე 1953 წელს 1140 ჰექტარით გადიდდა 315 ათასი ჰექტარით, ხოლო მოსავლიანობა ამ პერიოდში გადიდდა 6,8 ცენტნერით და მიაღწია 20,3 ცენტნერ ნედლ ბამბას ჰექტარზე. 1953 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს სარწყავი მიწებიდან ჩააბარეს 82 პროცენტით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე 1940 წელს.

მაგრამ მებამბეობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ მაინც ვერ აკმაყოფილებს მრეწველობის განუწყვეტლივ მზარდ მოთხოვნილებას ნედლეულზე. ნედლი ბამბის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია იმ გამოუყენებელი მიწების მოქცევა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში, რომლებსაც სარწყავი ქსელი აქვთ. ამჟამად ასეთი მიწები შუა აზიის, ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში და სამხრეთ ყაზახეთში 900 ათას ჰექტარზე მეტია.

ამას წინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული დადგენილება უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ბამბის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდების შესახებ. საჭიროა წავახალისოთ რესპუბლიკების ასეთი ინიციატივა. მიზანშეწონილია, რომ უახლოეს მომავალში ბამბის წარმოების გადიდების ღონისძიებანი შემუშავებულ იქნას ბამბის მთესველ სხვა რესპუბლიკებშიც.

საჭიროა განვახორციელოთ მთელი რიგი შედარებითი ცდები ბამბის შევიწროვებულად, ფართო-მწკრივად და კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის დარგში. უკრაინაში ახორციელებდნენ ბამბის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ცდებს, მართალია, არც თუ ისე დიდ ფართობებზე, მაგრამ ეს ცდები მაინც ყურადღების ღირსია. ბამბამ, რომლის ჩითილი დარგეს ტორფნეშომპალის ქოთნებში რამდენიმე მცენარე ბუდეში ისე, რომ მანძილი ბუდეებს შორის შეადგენდა 65×65 სანტიმეტრს, მოგვცა 26-29 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე გადაანგარიშებით, ხოლო თესლის საკონტროლო თესვამ ჩვეულებრივი წესით მოგვცა 12 ცენტნერი მოსავალი.

დასკვნის გამოტანა ახლა ნაადრევია. ცდებისათვის საჭიროა დრო. ვფიქრობ, რომ ამხანაგები იუსუპოვი, ნიაზოვი, გაფუროვი და ბამბის მთესველი სხვა რესპუბლიკების ხელმძღვანელები მოაწყობენ ბამბის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის საცდელ მუშაობას. ბამბის მექანიზებული დამუშავებისა და მოსავლის აღების საკითხების წარმატებით გადაჭრა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ბამბის მოყვანაზე და გავზარდოთ მისი მოსავლიანობა.

შაქრის ჭარხლის შესახებ. აქაც საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა. შაქრის წარმოება და მოხმარება საბჭოთა კავშირში რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ერთისამად გადიდდა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. საჭიროა სულ ცოტა ერთიორად გავადიდოთ შაქრის წარმოება. ამისათვის, მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში შაქრის ჭარხლის ნათესები უნდა გავაფართოოთ სულ ცოტა 300 ათასი ჰექტარით. ნათესების გადიდება მიზანშეწონილია უკრაინის დასავლეთ რაიონებში და ცენტრალურ-შავნიადაგიან ზონაში, სადაც ნიადაგისა და ჰავის პირობები ხელს უწყობენ ამ კულტურის მოყვანას. შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი შეგვიძლია მივიღოთ ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების ბევრ ოლქში, აგრეთვე ნოვოსიბირსკის, ომსკის, ულიანოვსკისა და ზოგიერთი სხვა ოლქის ბევრ რაიონში.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ უნდა გაითვალისწინონ შაქრის ქარხნების სიმძლავრეთა გაფართოება რაიონებში, სადაც შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობები დიდდება.

ზეთოვანი კულტურების შესახებ. 1953 წელს ზეთოვანი კულტურების ნათესი ფართობი 1940 წელთან შედარებით გადიდდა 524 ათასი ჰექტარით, ანუ 10,4 პროცენტით. სამწუხაროდ, მზესუმზირასა და სხვა ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ ძალიან მცირეა.

მცენარეული ზეთის წარმოების გასაადიდებლად, მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებასთან ერთად, საჭიროა 500-600 ათასი ჰექტარით გაფართოვდეს მზესუმზირას, საზეთე სელის და სხვა ზეთოვანი კულტურების ნათესი პირველ რიგში ვოლგისპირეთის, ყაზახეთის, დასავლეთ ციმბირისა და ურალის რაიონებში. ამასთან წარმოებაში ახალი უხვზეთოვანი ჯიშების მზესუმზირას და სხვა კულტურების დანერგვა საშუალებას მოგვცემს დამატებით მივიღოთ 2 მილიონ ცენტნერამდე მცენარეული ზეთი, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მზესუმზირას და აბუსალათინის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რაც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მათი დამუშავების მექანიზაცია და გავადიდოთ მოსავლიანობა.

მზესუმზირას მოსავლის აღების დროს დანაკარგი ჰექტარზე 2-3 ცენტნერს შეადგენს კომბაინების სამარჯვების უქონლობის გამო. საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა მზესუმზირას მოსავლის ასაღებად გამოყენებულ კომბაინებს სათანადო სამარჯვები ჰქონდეს.

საბოჭკოე სელი. ჩვენს სოფლის მეურნეობაში შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა მესელეობაში. სელის ნათესი კოლმეურნეობებში უკანასკნელ 3 წლის მანძილზე ერთი მესამედით შემცირდა. კვლავ მეტად მცირეა მოსავლიანობა და განსაკუთრებით სელის ბოჭკოს და თესლის სასაქონლო მოსავალი.

როგორც ჩანს, სელის თესლის დარგში მატერიალური წახალისება მაინცდამაინც წარმატებით არ ყოფილა გამოყენებული და ამიტომ ეს წახალისება ნაკლებად ეფექტიანია. საჭიროა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი ამ საქმეში. უახლოეს წლებში ჩვენ უნდა გავაფართოოთ სელის ნათესი დაახლოებით ერთნახევარჯერ, უწინარეს ყოვლისა არაშავნიადაგიან ზოლში და ურალისა და ციმბირის მთელ რიგ რაიონებში, აგრეთვე მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბოჭკოს და თესლის მოსავალი. საჭიროა გავაუმჯობესოთ მესელეობის კოლმეურნეობათა აგროტექნიკური მომსახურება.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

საკავშირო ალკა XII ყრილობა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 19 მარტს ყრილობის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენება გააკეთა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შელეპინმა.

— საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XII ყრილობა, — ამბობს იგი, — შეიკრიბა მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. პარტიის ერთგული თანამშმწე და მებრძოლი რეზერვია ლენინური კომკავშირი, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ შექმნა და გამოზარდა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება კომკავშირის ყრილობისადმი, — ამბობს ამხ. შელეპინი, — ახალი მკაფიო გამოვლენებაა პარტიის განსაკუთრებული ზრუნვისა კომკავშირისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობისათვის. ყრილობის დელეგატების სახელით იგი სიტყვას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირი პირნათლად შეასრულებს თავის წმიდა მოვალეობას საბჭოთა ხალხის წინაშე, საყვარელი სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

მომხსენებელი დამსწრეთ უამბობს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობაზე კომუნისტურ მშენებლობაში. კომკავშირელები და ახალგაზრდობა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში თავდადებული შრომის ნიმუშებს იძლევიან. მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არიან ცნობილი მრეწველობის შესანიშნავი ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები — ვასილ კუჩერი, ექვთიმე სტაროდუბცევი, ანატოლი სუბოტანი, ვლადიმერ ზახაროვი, ნიკოლოზ ჩიკირევი, სოციალისტური შრომის გმირი ვასილ ელისეევი, ლიდია კორაბელნიკოვა, ანტონინა ჟანდაროვა, ოლგა აგაფონოვა, მარიამ ლევჩენკო, გრიგოლ მუხანოვი, სოციალისტური შრომის გმირები ვალენტინ ვოლჩიხინი და ნადეჟდა რევა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ნინო სმირნოვა და მრავალი სხვა.

კომკავშირელები, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებაში სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ბევრი კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის დონე ჩამორჩენია ცხოვრების მოთხოვნებს, პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ამ უკანასკნელ წლებში კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შესასტეტის სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში მონაწილეობა. ბევრი მათგანი, ფარგლავს რა თავის მუშაობას შინაკომკავშირული საქმეებით, შორდება საწარმოო ცხოვრებას, ბრძოლას საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების საწარმოო გეგმების შესრულებისათვის; არ იჩენს ჯეროვან ინიციატივას და ბრძოლის უნარს.

სერიოზულად უშლის ხელს საქმეს ის, რომ კომკავშირული მუშაკები ცუდად იცნობენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებს. უამისოდ კი შეუძლებელია კონკრეტულად და სწორად წარვმართოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, სათავეში ჩავუდგეთ სამეურნეო საქმიანობაში მათ მონაწილეობას.

სიტყვა წარმოთქვა რა ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე, ამხ. მალენკოვმა განაცხადა: „გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ ზრუნვა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის ნამდვილად გახდეს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ხელმძღვანელობის დარგში მთელი პრაქტიკული მუშაობის ცენტრი. საჭიროა გავაჩაღოთ ნამდვილად ფართო სახალხო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი აღმავლობისათვის, შრომის დიდი ნაყოფიერების მიღწევისათვის თვითეულ სამრეწველო საწარმოში, თვითეულ მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა ფრონტზე".

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ მხურვალედ გამოვეხმაუროთ ამ მოწოდებას, მებრძოლურად გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ახალი ზრდისათვის. კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად უნდა გამოდიოდნენ შრომის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, იბრძოდნენ მოცდენის შემთხვევების წინააღმდეგ, საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის, მეტი დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებს წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებაში, . ახალი ტექნიკის დანერგვაში, ტექნოლოგიის გაუმჯობესებაში. შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვაში.

კომკავშირული ორგანიზაციები უნდა იბრძოდნენ იმისათვის, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობათა ყველა ახალგაზრდა მუშა აქტიურად მონაწილეობდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, გულმოდგინედ იბრძოდეს ეკონომიისა და ყაირათიანობისათვის, წარმოების რეზერვების გამოვლენებისა და მთლიანად გამოყენებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა, განაგრძობს მომხსენებელი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას, რომელმაც დასახა თანამედროვე პირობებში ყველაზე არსებითი საყოველთაო-სახალხო ამოცანა — სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე უახლოეს ორ-სამ წელიწადში მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეული მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა კომკავშირის ინიციატივა — ნებაყოფლობითი წესით გაიგზავნოს ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად 100 ათასი მექანიზატორი კომკავშირელი და ახალგაზრდა. 60 ათასი კომკავშირელი უკვე გაემგზავრა ახალ მიწებზე, სულ კი მიღებულია 400 ათასზე მეტი განცხადება. ეს არის ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი პატრიოტიზმის დამამტკიცებელი საბუთი.

კომკავშირული ორგანიზაციები გამოდიან როგორც სოციალისტური შეჯიბრების, წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების დანერგვის ინიციატორები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გასული დროის მანძილზე მეცხოველეობაში მუდმივ სამუშაოდ გაიგზავნა 200 ათასამდე კომკავშირელი. სოფლად დაბრუნდა სოფლის მეურნეობის 10 ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტი და 16 ათასზე მეტი ახალგაზრდა მექანიზატორი.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ახალგაზრდობის კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს სოფლის მეურნეობას, საჭიროა უფრო კვალიფიციური და მტკიცე ხელმძღვანელობა გაეწიოს სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ზოგან ყოველდღიურ ორგანიზატორულ კონკრეტულ მუშაობას უშუალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცვლიან მრავალი დადგენილების მიღებით, სხვადასხვა ღონისძიებათა შემუშავებით, საერთო ამოცანების დასახვით და ყოველგვარი ზედმეტი, უსარგებლო კამპანიების მოწყობით.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ამბობს მომხსენებელი, უნდა მიაღწიონ აგროტექნიკის მოწინავე ხერხების ფართოდ დანერგვას, სწორი თესლბრუნვის რაც შეიძლება მალე შემოღებასა და ათვისებას, მინდვრის სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას და მათი შესრულების ვადების შემცირებას, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ გაუმჯობესონ თესლის საქმე, დაიცვან თესვის ნორმები, მკვეთრად გაადიდონ ადგილობრივი სასუქების დაგროვება და ნიადაგში შეტანა, უკეთ გამოიყენონ მინერალური სასუქები. კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყოველდღიურად იზრუნონ პირუტყვის მთელი სულადობის და განსაკუთრებით მოზარდეულის შენარჩუნებისათვის, იბრძოლონ პროდუქტიულობის გადიდებისათვის. საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობის საკვებ ბაზას, მიაღწიონ სათესი მინდვრების გაფართოებას და საფურაჟე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, წვნიანი საკვების დაგროვებისათვის დაწესებულ დავალებათა უთუოდ შესრულებას სასილოსე კულტურების და განსაკუთრებით სიმინდის ნათესების და მათი მოსავლიანობის გადიდების გზით.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში გადამწყვეტი ძალა და სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტებია მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ საწარმოო საქმიანობაში. მტკიცდება მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციებისა და იმ კოლმეურნეობათა ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომლებსაც ეს მტს-ები მომსახურებას უწევენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მტს-ების მუშაკთა ორმილიონიანი არმიის მნიშვნელოვან ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენს, ბევრი ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანო, და, უწინარეს ყოვლისა, კომკავშირის კალუგის, ტულის, ორიოლის, ტამბოვის, მოლოტოვის, მინსკის სოლქო კომიტეტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მტს-ების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას.

ახალგაზრდა მექანიზატორთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცუდად იყენებს მანქანა-ტრაქტორთა პარკს, ურიგდება მანქანების ხმირ მოცდენას, კარგი ხარისხით ვერ ასრულებს მინდვრის სამუშაოებს. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდა მექანიზატორთა შორის, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული ახალგაზრდა მექანიზატორი ყოველდღიურად მაღალი ხარისხით ასრულებდეს გამომუშავების ნორმას, რომ უზრუნველყოს უხვი მოსავლის მიღება დამუშავებულ მიწებზე. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდა მექანიზატორებმა იცოდნენ სასრულო-სამეურნეო კულტურების [illegible] მეთოდები და [illegible] [illegible] — დნენ ახალ ტექნიკას. მიმდინარე წლის იანვარში კრემლში გამართულმა მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც მოიწვიეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოუწოდა ყველა მექანიზატორს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენი ამოცანა, ამბობს ამხ. შელეპინი, ის არის, რომ ამ შეჯიბრებაში ყველა ახალგაზრდა მექანიზატორი ჩავაბათ. ამ შეჯიბრების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს კომკავშირულ-ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადების შეჯიბრება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა გამოაშკარავა საბჭოთა მეურნეობების საქმიანობის დიდი ნაკლოვანებანი, დასახა საბჭოთა მეურნეობების წარმოების მკვეთრი აღმავლობის გზები. მეტ წილ საბჭოთა მეურნეობებში მრავალრიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციაა. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან ბოლო მოუღონ ამ ორგანიზაციების მუშაობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, გააძლიერონ მათი როლი და პასუხისმგებლობა საბჭოთა მეურნეობების საქმეების მდგომარეობისათვის, ჩააბან ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდობა ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულია პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირებისათვის, თვითეული საბჭოთა მეურნეობის რენტაბელური მუშაობისათვის, დაეხმარონ პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრიონ საბჭოთა მეურნეობებში სანიმუშო მაღალსასაქონლო მეურნეობად.

ახლა ყველა კომკავშირულ მუშაკს წინანდელზე მეტად მოეთხოვება იცოდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხები, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უკლებლივ ყველა კომკავშირულმა მუშაკმა ჯეროვანად მოჰკიდოს ხელი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლების, მოწინავე გამოცდილების შესწავლას და მტკიცედ იბრძოლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი დანერგვისათვის.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სახალხო განათლების საკითხებს, სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას.

პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით იზრდება სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ქსელი, დიდდება სახელმძღვანელოებისა და სასკოლო მოწყობილობის გამოშვება. ამჟამად სსრ კავშირში მოსწავლეთა რიცხვი 57 მილიონს აღემატება — 8 მილიონით მეტია, ვიდრე 1940 წელს. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სამ მილიონზე მეტი კაცი სწავლობს.

არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ არის და არც შეიძლება იყოს სახალხო განათლების ესოდენ გიგანტური გაქანება. კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასები დაინტერესებული არიან იმით, რომ მშრომელთა მასები სიბნელესა და უმეცრებაში იყვნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითი შეიძლება იყოს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ათ მილიონზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარია.

კომკავშირი მოწოდებულია საბჭოთა სკოლასთან ერთად გადაჭრას ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილური და პასუხსაგები ამოცანები.

ეხება რა იმას, რომ კომკავშირული ორგანიზაციები მასწავლებლებს ეხმარებიან მოსწავლეთა ღრმა და მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლაში, მომხსენებელი აღნიშნავს სერიოზულ ნაკლოვანებებს ამ საქმეში. კომკავშირული ორგანიზაციები საკმაო გაფლენას ვერ ახდენენ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებაზე, არ იღებენ ღონისძიებებს ორწლიანობის ლიკვიდაციისათვის, არ ეხმარებიან იმ სკოლებს, სადაც ყველაზე დაბალია სწავლაში წარმატება. მთელ რიგ სკოლებში კვლავ ზედმეტად ტვირთავენ კომკავშირელებსა და პიონერებს სხვადასხვა ღონისძიებებით, აწყობენ მომქანცველ სხდომებსა და კრებებს, რომლებზე დასწრებაც მოსწავლეებს ბევრ დროს ართმევს.

სკოლების კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ და არც უნდა მოახდინონ მასწავლებლის მუშაობის დუბლირება. მოსწავლეები ჩაბმულ უნდა იქნან საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობაში, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების დამზადებაში, სასკოლო კაბინეტების მოწყობაში, ლაბორატორიებში და სასკოლო ნაკვეთებზე მუშაობაში, ხელს უ

საკავშირო ალკკ XII ყრილობა

(დასასრული)

ბას მოსწავლეებთან, არ ახორციელებენ საინტერესო, წარმტაც და ბავშვების გამრთობ ღონისძიებებს. ბევრი მოსწავლე უკმაყოფილოა კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსით, თავს არიდებს მათს გავლენას, სხვა, ზოგჯერ უმსგავსო საქმეებში ეძებს გამოსავალს თავისი ინიციატივისათვის, ენერგიისათვის.

კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა, სკოლების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუმჯობესონ მუშაობა იმისათვის, რომ ჩაუნერგონ მოსწავლეებს მაღალი მორალური თვისებანი: პატიოსნება და სიმართლე, კოლექტივიზმის, ამხანაგობის, მეგობრობის გრძნობა; იბრძოლონ იმისათვის, რომ მოსწავლეებში თავი არ იჩინოს ცუდმა თვისებებმა და ჩვევებმა — ეგოიზმმა, სიზარმაცემ, თავხედობამ, იბრძოლონ მოსწავლეთა შეუფერებელი ქცევის ფაქტების წინააღმდეგ. საჭიროა მეტი დახმარება გაეწიოს სკოლას იმ მხრივ, რომ ახალგაზრდა თაობა კარგად ითვისებდეს, ისისხლხორცებდეს კომუნისტური მორალის ძირითად პრინციპებს, რომ მან ისწავლოს ამ პრინციპებით ხელმძღვანელობა ცხოვრებაში.

ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ არა მარტო იმით, რომ თვითეულ სკოლაში, თვითეულ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციაში შეექმნათ ისეთი ვითარება, რომ კოლექტივი არ იწყნარებდეს უდისციპლინობის, ხულიგნობის გამოვლინებას, არამედ უწინარეს ყოვლისა იმით, რომ სკოლებში, პარკებში, სკვერებში, სასახლეებში განვახორციელოთ ბავშვებისათვის სასარგებლო და საინტერესო ღონისძიებანი, მოვაწყოთ კვირადღეობით სხვადასხვა თამაში და გასართობი ბავშვებისა და მოზარდთათვის. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პიონერთა სახლებმა, ნორჩ ნატურალისტთა, ტექნიკოსთა სადგურებმა, სბავშვო რკინიგზებმა, სასპორტო სკოლებმა.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ მუშაობა, რათა ჩავუნერგოთ მოსწავლეებს ფიზიკური შრომის სიყვარული, სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი, დახმარება გავუწიოთ მოსწავლეებს იმაში, რომ გაეცნონ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებს.

უნდა გავადიდოთ მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების როლი მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. მეტი ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, დავეხმაროთ მათ წარმატებით დაეუფლონ პედაგოგიურ ოსტატობას, უფრო აქტიურად ჩაებათ ისინი სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობაში.

საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის სახელობის პიონერორგანიზაციას. მილიონობით პიონერი კარგ წარმატებას გვიჩვენებს სწავლაში. ცოტა როდია ისეთი პიონერრაზმეულები და რაზმები, სადაც ყველა პიონერი კარგად სწავლობს, სადაც წარმოებს სხვადასხვაგვარი აღმზრდელობითი მუშაობა.

მაგრამ პიონერორგანიზაციის საქმიანობაში დიდი ნაკლოვანებებიც არის. ბევრი რაზმხსა და რაზმეულის მუშაობას ახასიათებს ერთფეროვნება, ფორმების შეზღუდულობა, იგი ზედმეტად რეგლამენტირებული და „ორგანიზებულია“. ბევრ რაზმეულში ირღვევა პიონერორგანიზაციის თვითმოქმედი ხასიათი. მოზრდილები ცდილობენ ყველაფერი გააკეთონ ბავშვების მაგივრად. პიონერებს შესაძლებლობა არა აქვთ თავიანთი ენერგია, ინიციატივა და უნარი გამოიჩინონ პრაქტიკულ საქმეებში. პიონერებს სუსტად უნერგავენ მათი ძალღონის შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრის ჩვევებს.

ცხობილია, რომ პიონერორგანიზაციის ერთ-ერთი ამოცანაა დაეხმაროს სკოლას მოსწავლეთა ცოდნისათვის ბრძოლაში, მაგრამ ცალკეული კომკავშირული მუშაკები, პიონერელმძღვანელები და მასწავლებლები ამ სწორ მოთხოვნას არასწორად ახორციელებენ, ხოლო ზოგჯერ კიდევაც ამახინჯებენ. კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას პიონერხელმძღვანელებს. საკმარისია ითქვას, რომ ახლა ცხრა ათას პიონერრაზმეულს არა ჰყავს უფროსი ხელმძღვანელი. პიონერულ მუშაობას ზოგჯერ ისეთი ადამიანი ჰკიდებს ხელს, რომელსაც ბავშვებთან მუშაობის არც სურვილი აქვს, არც ჩვევები.

საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი პიონერორგანიზაციის საქმიანობაში, მივაღწიოთ იმას, რომ გაუმჯობესდეს თვითეული პიონერრაზმის, თვითეული რაზმეულის მუშაობა. მთელი მუშაობა უნდა მომდინარეობდეს პიონერთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, უნდა იყოს საინტერესო და წარმტაცი.

ჩვენს ქვეყანაში ფართო გაქანება მიეცა უმაღლეს განათლებას. მარტო შარშან უმაღლესმა სასწავლებლებმა დ. ტექნიკუმებმა 500 ათასი სპეციალისტი გამოუშვეს. განუწყვეტლივ უმჯობესდება მათი მომზადების ხარისხი.

მაგრამ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. სტუდენტთა ერთი ნაწილი ზერელედ ითვისებს პროგრამის მასალას, ვადაზე არ ასრულებს სასწავლო დავალებებს, აცდენს ლექციებსა და მეცადინეობას. კომკავშირული ორგანიზაციები საკმაოდ ვერ ზრდიან სტუდენტებს სახელმწიფოს წინაშე თავიანთი მოვალეობის მაღალი შეგნების სულისკვეთებით, იმ სულისკვეთებით, რომ მზად იყვნენ შეასრულონ ყოველი სამუშაო, რომელიც სამშობლოს ესაჭიროება.

ამხ. შელეპინი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომკავშირული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას ახალგაზრდობაში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დროს. კომკავშირმა ქალიშვილები და ჭაბუკები უნდა აღზარდოს საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, აღზარდოს იმისათვის მტკიცე მებრძოლებად, რომ განახორციელონ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად, რომელსაც პარტია და კომკავშირი აწარმოებენ, იზრდება კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა შესანიშნავი თაობა. მილიონობით ქალიშვილი და ჭაბუკი თითქმის ყველა ძალებსა და ცოდნას იხმარს სამშობლოს აყვავებას, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის ბრძოლას. ამასთანავე იდეოლოგიურ მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ურიგდებიან თეორიის შესწავლისადმი მედავითნურ, სკოლარულ მიდგომას. ახალგაზრდობას ხშირად სთავაზობენ მკვდარ სქემებს, განყენებულ კატეგორიებს. ჩვენ კი იმისათვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ ახალგაზრდობამ მტკიცედ შეითვისოს არა ცალკეული ფორმულები და ციტატები, არამედ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების არსი. ირღვევა წრეებსა და პოლიტსკოლებში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ჩარიცხვის ნებაყოფლობითი პრინციპი. პროპაგანდისტულ მუშაობას ცოდად უკავშირებენ კომუნისტიური მშენებლობის ამოცანებს, პრაქტიკულ საქმეებს, რომლებიც დგას ამა თუ იმ ოლქის, მხარის, რესპუბლიკის, საწარმოს, მტს-ის, კოლმეურნეობის წინაშე.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა ჩაუნერგონ ახალგაზრდობას საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებები, პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისათვის, სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობა, უნდა აწარმოონ შეურიგებელი, შეტევითი ბრძოლა ლოთობის, ხულიგნობის, ქურდობის, ყოფაცხოვრებითი თავაშვებულობის ფაქტების წინააღმდეგ; ჩაუნერგონ საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ამხანაგური ურთიერთდამოკიდებულება, ერთგულება მეგობრობაში, პატივისცემა უფროსებისადმი. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, კომკავშირელები იყვნენ ნიმუში ყოფაქცევისა ქუჩაში, შინ, საზოგადოებრივ ადგილებში. მთელ ახალგაზრდობას უნდა გავაცნოთ ქალიშვილებისა და ჭაბუკების კეთილშობილური თავდადება, რასაც ისინი ყოველდღე იჩენენ შრომაში, ცხოვრებაში.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკურ აგიტაციას. საჭიროა უზრუნველვყოთ საagიტაციო-მასობრივ მუშაობაში ყველაზე მომზადებული კომკავშირელების აქტიური მონაწილეობა, შევარჩიოთ აგიტატორები ახალგაზრდობის ბრიგადებში, ცვლებში, საერთო საცხოვრებლებში, საველე ბანაკებში, ფერმებში, ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის გასაწევად. საჭიროა განვაახლოთ კომკავშრში ახალგაზრდათა შორის სააგიტაციო მუშაობის ისეთი ფორმები, როგორიც არის ახალგაზრდული აგიტბრიგადები, „ცოცხალი გაზეთები“, „საბრძოლო ფურცლები“, „ელვა“ და სხვ.

ამხ. შელეპინი ლაპარაკობს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში პრესის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, მხატვრული ლიტერატურის, კინოს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის უდიდეს როლზე, აღნიშნავს, რომ საჭიროა ეფრო ფართოდ და სრულად გამოვიყენოთ ყველა ეს საშუალება.

კომკავშირული პრესა გვიჩვენებს კომკავშირული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის მრავალფეროვან ცხოვრებას, ამჟღავნებს ნაკლოვანებებს, რაზმავს ახალგაზრდობას კომუნისტიური პარტიის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად. ჩვენ გვაქვს ბევრი კარგი გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მაგრამ ახალგაზრდული პრესის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებებიც: გამოქვეყნებული მასალების დაბალი იდეური და ლიტერატურული დონე, ბევრი გამოსვლის ზერელე ხასიათი.

ამხ. შელეპინი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა ახალგაზრდული გაზეთებისა და ჟურნალების მუშაობა ავიყვანოთ იმ მოთხოვნათა დონემდე, რომლებსაც პრესას კომუნისტური პარტია უყენებს. ახალგაზრდულმა პრესამ უკეთ უნდა გააშუქოს კომკავშირელების მონაწილეობა სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში, უფრო აქტიურად იბრძოლოს ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, მოწინავეს.

საბჭოთა კავშირში შექმნილია უდიდესი შესაძლებლობანი ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად. ჩვენს ქვეყანაში არის 45 ათასი სასოფლო კლუბი, 4,5 ათასი რაიონული კულტურის სახლი, 380 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, 30 ათასზე მეტი ქოხ-სამკითხველო, 51 ათასი კინოდანადგარი, 11 ათასზე მეტი პროფკავშირული კლუბი და სასახლე. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია შინაარსიან, კულტურულ-მასობრივ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობაში. მაგრამ ამ საქმეში ნაკლიც ბევრია. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, აღნიშნავს ამხ. შელეპინი, რომ კომკავშირი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სული და გული. საჭიროა გავამართლოთ ეს კონკრეტული საქმეებით — უზრუნველვყოთ ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართო გაქანება, გამოვიდეთ მასობრივი დღესასწაულების, სეირნობის, კარნავალის, ბალების, მასკარადების ორგანიზატორებად, მოვაწყოთ ახალგაზრდობის დასვენების საღამოები, ექსკურსიები და ლაშქრობანი.

ლაპარაკობს რა ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაზე, ამხ. შელეპინი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურელთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ერთიორად გაიზარდა. მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობს სასპორტო შეჯიბრებებში. საბჭოთა ახალგაზრდობა წარმატებით იცავს თავისი სამშობლოს სპორტულ ღირსებას საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდა არ არის ჩაბმული სექციებისა და გუნდების მეცადინეობაში, არ მონაწილეობს „მშთ“ კომპლექსის ნორმების ჩაბარებაში და სასპორტო შეჯიბრებებში.

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება მოითხოვს სასპორტო ნაგებობათა ქსელის გაფართოებას და მაღალხარისხოვანი სასპორტო ინვენტარის წარმოების გადიდებას. 1954-1955 წლებში ახალგაზრდობის ძალებით უნდა დამთავრდეს უმარტივესი სასპორტო მოედნების მშენებლობა რაიონულ ცენტრებში, კოლმეურნეობებში, მოეწყოს სასროლო ტირები. კომკავშირული ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობა ნებაყოფლობითს საზოგადოებას; ყურადღებას აქცევდნენ ახალგაზრდობის მომზადებას საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის.

მომხსენებელი ლაპარაკობს ახალგაზრდობის საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების მუშაობაზე, კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალიშვილთა და ჭაბუკთა ბრძოლაზე თავიანთი უფლებებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის. საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის საქმიანობაში. საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზაციები განუწყვეტლივ ახორციელებენ დელეგაციების, აგრეთვე გამოცემების, სხვადასხვა ინფორმაციების გაცვლას საზღვარგარეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციებთან. 1949-დან 1953 წლამდე საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საზღვარგარეთის ახალგაზრდობის 236 დელეგაცია. მარტო 1953 წელს საბჭოთა კავშირს 55 ქვეყნიდან ესტუმრა 3.746 ქალიშვილი და ჭაბუკი. ჩვენი სპორტსმენები მონაწილეობას იღებდნენ უდიდეს სასპორტო შეჯიბრებებში, XV ოლიმპიურ ასპარეზობაში, სხვადასხვა შეჯიბრებაში ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე, ამხანაგურ შეხვედრებში მრავალი ქვეყნის სპორტსმენებთან. 1949 წლიდან დღემდე საბჭოთა სპორტსმენები გამოვიდნენ 19 ქვეყნის სტადიონებზე და სასპორტო დარბაზებში. ჩვენი ქვეყნის სასპორტო ორგანიზაციების მოწვევით 29 ქვეყნის სპორტსმენები ესტუმრნენ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა ახალგაზრდობის აქტიურმა ბრძოლამ მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის სიყვარული და ნდობა მოუხვეჭა მას. კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ამოცანაა კვლავაც იყოს მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობის ავანგარდში.

ამხ. შელეპინი დაწვრილებით ეხება კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობის საკითხს. კომკავშირი საანგარიშო პერიოდში ერთიორად გაიზარდა და თავის რიგებში ჰყავს 18.825.327 კაცი, გაერთიანებული 431 ათას პირველადს ორგანიზაციაში.

საკავშირო ალკკ თვისებრივი შემადგენლობა შემდეგი ძირითადი მონაცემებით ხასიათდება: საკავშირო ალკკ შემადგენლობის თითქმის ერთი მეოთხედია მუშები, 13,2 პროცენტი — კოლმეურნეები, 38 პროცენტი — სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეები. საკავშირო ალკკ წევრთა შორის არის 271 ათასი ტექნიკოსი და ინჟინერი, 455 ათასი მასწავლებელი, 51 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, 892 ათასი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. კომკავშირის ყოველ მეხუთე წევრს აქვს უმაღლესი ან საშუალო განათლება.

კომკავშირული ორგანოების ანგარიშგებამ და არჩევნებმა, რაც წინ უძღოდა ყრილობას, ცხადყო კომკავშირელთა დიდი აქტივობა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე გამოვიდა საკავშირო ალკკ 2 მილიონზე მეტი წევრი. ანგარიშგებისა და არჩევნების შედეგად კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა ასეულ ათასობით კომკავშირელი აქტივისტი.

ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ და სრულყოთ კომკავშირის მუშაობა და ავამაღლოთ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის დონე. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად აღმოვფხვრათ კომკავშირული ორგანოების მუშაობაში ისეთი ნაკლოვანებანი, როგორიც არის ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის პრინციპის დარღვევა, ბიუროკრატიზმი და ადმინისტრირება. თვითეული ხელმძღვანელი მუშაკი უფრო ხშირად უნდა დადიოდეს პირველადს ორგანიზაციებში, დახმარებას უწევდეს მათ ადგილებზე. უნდა შეიცვალოს კომკავშირული ორგანოების სტრუქტურა, რათა ხელმძღვანელ მუშაკებს მეტი დრო რჩებოდეთ იმისათვის, რომ ყოველდღიურად იქონიონ ურთიერთობა კომკავშირელებთან, ძირეულ ორგანიზაციებთან.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მთელი ცხოვრება, ამბობს დასასრულ ამხ. შელეპინი, განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან. ასრულებდა რა პარტიის ბრძნულ მითითებებს, პარტიის ყოველდღიური ხელმძღვანელობით კომკავშირმა დიდი გზა განვლო, განმტკიცდა და გამოიწრთო, ხელი შეუწყო საბჭოთა სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული მილიონობით საბჭოთა პატრიოტის აღზრდას. კომკავშირისათვის არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, ვიდრე თავდადებული სამსახური კომუნისტური პარტიის საქმისადმი, მონაწილეობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საღამოს სხდომაზე ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ხარაზოვის** საანგარიშო მოხსენება.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ამბობს იგი, განახორციელა ღონისძიებანი კომკავშირულ ორგანიზაციებში საფინანსო დისციპლინის განსამტკიცებლად.

1951-1953 წლებში შემოღებულ იქნა კომკავშირული საწევრო შესატანის გადახდის ახალი სკალა, მნიშვნელოვნად შემცირდა ამ შესატანის ოდენობა. საწევრო შესატანის გადახდის ახალი სკალის შემოღების შემდეგ იდეო-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობაა გაწეული, რამაც ხელი შეუწყო დისციპლინის განმტკიცებას კომკავშირულ ორგანიზაციებში.

ამხ. ხარაზოვი ლაპარაკობს, თუ როგორ უძღვებიან კომკავშირულ მეურნეობას, როგორ მუშაობენ წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებში და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში. ახალგაზრდობის წერილებისადმი გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევები არის როგორც საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურ კომიტეტებში, კომკავშირის საოლქო და სამხარეო კომიტეტებში. წერილების გამოქვეყნებისადმი სათანადო ყურადღებას არ იჩენს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდის“ სარედაქციო კოლეგია.

ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა ერთისა და იმავე დროს მოხდეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხალდეევმა**, კომკავშირის ალტაის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ამხ. **პოლიაკოვმა**, საკავშირო ალკკ ყირასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ამხ. **კაჩანოვმა**, საკავშირო ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ბოროდინმა**, კომკავშირის ჩკალოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხრომოვამ**.

დღეს საკავშირო ალკკ XII ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 19 მარტი. (საკდესი). 17 მარტს გაიმართა პირველი პლენუმი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ახლად აირჩია II ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, რომელშიც შედიან: ამხანაგები ბოლესლავ ბერუტი, ალექსანდრე ზავადსკი, იუზეფ ცირანკევიჩი, ხილარი მინცი, ზენონ ნოვაკი, კონსტანტინე როკოსოვსკი, ედვარდ ოხაბი, იაკობ ბერმანი, ფრანციშეკ მაზური, ფრანციშეკ უუვეიკი, სტანისლავ რადკევიჩი, ვლადისლავ დვორაკოვსკი და რომან ზამბროვსკი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხ. ადამ რაპაკი და ამხ. ხილარი ხელუოვსკი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ბოლესლავ ბერუტი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ბოლესლავ ბერუტი აირჩია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, და იმასთან დაკავშირებით, რომ მან ამჟამად მთელი თავისი ძალღონე უნდა მოახმაროს უწინარეს ყოვლისა პარტიის საქმიანობას, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გაათავისუფლა ბოლესლავ ბერუტი, მისი წინადადების თანახმად, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სახელმწიფო საბჭომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა იუზეფ ცირანკევიჩი.

დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის გზით

ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბუნდესრატმა (ბონის პარლამენტის ზედაპალატა) მოიწონა კონსტიტუციის დამატებითი სამხედრო მუხლების მიღება.

რედაქტორის მოადგილე რ. ძურაბიკიძე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ახალგაზრდა მასწავლებელი (დილას), ჰაიტი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ოჯახის ღირსება, **გრიბოედოვის სახელობის** — თოლია (დილას), უკანასკნელნი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ (დილას და საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 45, 11 ს.), მისი მეგობრები (აბონემენტი № 32, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — საგანგებო დავალება (10 ს. და 2 ს.), ცხოვრების ფურცელი (7 ს.), **სანიტარული კულტურის** — საამო საზრუნავი (11 ს. 30 წ.), ცხოვრება იწყება.

• • •

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის, ისანი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი — ბატონი ტაქსი, **ამირანი** — ალექსანდრე პარხომენკო, **თბილისი** — დუნაის შვილი, **კომკავშირელი** — კარდინალი რიშელიე, **კოლხიდა, დიდუბე** — რუსული ბალეტის ოსტატები, **კოლმეურნე** — ჩემი პატარა მეგობარი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მზითვიანი ქორწილი.

მოქალაქე **მიხეილ გიორგის-ძე ვარდიაშვილმა**, მცხოვრებმა: ქ. რუსთავში ცენტრალური პროსპ. № 14, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ბაჩანას ქ. № 16 მცხოვრებ **ლიდა გიორგის ასულ ტარალოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ორშაბათს, 22 მარტს

საქართველოს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის

კონცერტი

სამხატვრო ხელმძღვანელი **კომპოზიტორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ცაგარეიშვილი.**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები იყიდება ოპერის თეატრის სალაროში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენიდან და შემდგომ პერიოდში მეოთხე სახელმწიფო სესხი

(ოფიციალური ცნობილება)

მოგებათა მე-9 ტირაჟისა, რომელიც შედგა 1954 წლის 14 მარტს ქალაქ ტომსკში.

მოგება ხვდა სესხის ყველა თარიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
060044	1—50	200	069828	01*)	1.000
060215	32*)	1.000	069873	1—50	500
060319	07*)	1.000	069911	36*)	1.000
060419	30*)	1.000	069949	1—50	200
060701	06*)	1.000	070105	19*)	1.000
060710	14*)	1.000	070165	1—50	500
060734	1—50	200	070230	1—25	200
060827	1—50	200	070272	1—50	500
060843	09*)	1.000	070316	36*)	1.000
060984	44*)	1.000	070345	06*)	5.000
061012	29*)	1.000	070509	1—50	200
061086	44*)	5.000	070540	1—50	200
061114	49*)	1.000	070544	17*)	1.000
061244	1—50	200	070611	22*)	1.000
061442	49*)	1.000	070621	1—50	200
061451	28*)	1.000	070953	08*)	25.000
061862	21*)	1.000	071096	39*)	1.000
061864	1—50	500	071215	1—50	500
061892	09*)	1.000	071227	50*)	5.000
061967	06*)	1.000	071274	16*)	25.000
062058	1—50	200	071317	13*)	1.000
062115	03*)	10.000	071333	50*)	1.000
062189	31*)	1.000	071364	21*)	1.000
062333	1—50	200	071483	31*)	5.000
062653	30*)	1.000	071600	41*)	1.000
062904	26*)	1.000	072127	22*)	1.000
062940	05*)	5.000	072244	1—50	200
063248	44*)	1.000	072279	20*)	1.000
063345	1—50	200	072311	47*)	1.000
063412	43*)	1.000	072444	14*)	1.000
063606	1—50	200	072458	1—50	500
063873	1—50	500	072658	04*)	1.000
063947	40*)	1.000	072795	29*)	5.000
064173	10*)	1.000	073191	42*)	1.000
064212	49*)	1.000	073262	49*)	1.000
064419	43*)	1.000	073800	25*)	1.000
064569	07*)	1.000	073869	42*)	1.000
064637	49*)	5.000	074063	1—50	200
064679	1—50	500	074224	11*)	10.000
064700	36*)	1.000	074262	1—50	200
065066	1—50	200	074278	28*)	1.000
065124	1—50	200	074647	11*)	1.000
065172	09*)	1.000	074662	1—50	500
065209	1—50	200	075070	10*)	1.000
065260	42*)	1.000	075147	24*)	1.000
065500	08*)	1.000	075382	01*)	10.000
065559	1—50	200	075693	13*)	1.000
065652	1—50	500	075826	01*)	1.000
065670	26*)	1.000	075848	1—50	200
065906	37*)	1.000	075885	22*)	1.000
065978	1—50	200	075914	1—50	500
066025	12*)	1.000	075922	1—50	500
066140	26*)	5.000	076243	1—50	200
066208	06*)	1.000	076517	16*)	5.000
066214	32*)	1.000	076580	1—50	200
066308	36*)	1.000	076859	1—50	500
066398	03*)	1.000	076892	07*)	1.000
066424	22*)	1.000	077034	1—50	200
066563	05*)	1.000	077149	14*)	1.000
066660	28*)	1.000	077298	1—50	200
066858	15*)	1.000	077360	17*)	10.000
067015	17*)	1.000	077511	35*)	1.000
067140	50*)	1.000	077620	1—50	200
067192	1—50	500	077802	30*)	1.000
067358	1—50	200	077820	1—50	500
067379	43*)	1.000	077831	16*)	1.000
067611	1—50	200	077971	23*)	1.000
067735	21*)	1.000	078076	32*)	1.000
067743	1—50	500	078182	50*)	1.000
068022	28*)	1.000	078299	1—50	200
068201	1—50	500	078413	1—50	500
068265	1—50	200	078588	1—50	200
068401	04*)	1.000	078759	11*)	5.000
068416	1—50	500